



ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 245

01 08 2016 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ტერიტორიული ორგანოების თანდართული ტიპური დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2014 წლის 31 ოქტომბრის №425 ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.
4. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

სამსახურის დირექტორი

კობა კობალაძე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო
სამსახურის ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ტერიტორიული ორგანოებია:

- ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველო;
- ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველო;
- გ) სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო;
- დ) გურიის სამმართველო;
- ე) იმერეთის სამმართველო;
- ვ) შიდა ქართლის სამმართველო;
- ზ) ქვემო ქართლის სამმართველო;
- თ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო;
- ი) კახეთის სამმართველო;
- კ) სამცხე-ჯავახეთის სამმართველო;
- ლ) მცხეთა-მთიანეთის სამმართველო.

2. ტერიტორიული ორგანო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) დირექტორის სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე დებულებით.

3. ტერიტორიული ორგანო ფლობს და სარგებლობს სამსახურის ქონებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ტერიტორიული ორგანო ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე.

მუხლი 2. ტერიტორიული ორგანოს ამოცანა და საქმიანობის საგანი

1. ტერიტორიული ორგანოს ძირითადი ამოცანა და საქმიანობის საგანია საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული პირების (შემდგომში - ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები) აღრიცხვა (ანკეტირება), ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, მათთვის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვის პროგრამების ადგილზე შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა.

2. ტერიტორიული ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების უკეთ განხორციელების მიზნით, თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე არასამთავრობო

ორგანიზაციებთან.

მუხლი 3. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები

1. ტერიტორიული ორგანოს ფუნქციებია:

ა) სამოქმედო ტერიტორიაზე რეგისტრირებული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აღრიცხვა (ანკეტირება) და ანკეტების სამსახურში გადმოგზავნა;

ბ) სამოქმედო ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ვეტერანებსა და მათ ოჯახის წევრებზე ვეტერანის მოწმობების გაცემა;

გ) სამოქმედო ტერიტორიაზე ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი აღმოფხვრისათვის შესაბამისი ზომების მიღება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში წინადადებების მომზადება ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამოქმედო ტერიტორიაზე მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების თაობაზე;

ე) შესაბამის ტერიტორიაზე ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების პერიოდულად შესწავლა და სისტემური ზრუნვა მათ გასაუმჯობესებლად;

ვ) შესაბამის ტერიტორიაზე სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესრულების სისტემატური ანალიზი;

ზ) დაინტერესებული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციის გაწევა;

თ) ტერიტორიულ ორგანოში შემოსული და შესრულებული კორესპონდენციის ელექტრონული აღრიცხვა;

ი) კანონმდებლობითა და დირექტორის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, აგრეთვე დირექტორის, შესაბამისი დირექტორის მოადგილის და რეგიონალური მართვის დეპარტამენტის უფროსის მითითებათა და ცალკეულ დავალებათა შესრულება.

მუხლი 4. ტერიტორიული ორგანოს მართვა

1. ტერიტორიული ორგანო სტრუქტურულად ექვემდებარება რეგიონალური მართვის დეპარტამენტს.

2. ტერიტორიულ ორგანოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც რეგიონალური მართვის დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის დირექტორი. ტერიტორიული ორგანოს უფროსი პასუხისმგებელია სამსახურის დირექტორის, შესაბამისი დირექტორის მოადგილის და რეგიონალური მართვის დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

3. ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლებს ტერიტორიული ორგანოს უფროსის წარდგინებითა და რეგიონალური მართვის დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის დირექტორი.

4. ტერიტორიული ორგანოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი მოვალეობის შემსრულებელი განისაზღვრება სამსახურის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. ტერიტორიული ორგანოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი
ტერიტორიული ორგანოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.